

მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ

ერთის მხრივ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში - აკადემია), წარმოდგენილი აკადემიის პრეზიდენტის ბ-ნი გიორგი კვეციტაძის სახით,

მეორეს მხრივ - ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მერია), წარმოდგენილი მერის ბ-ნი გოჩა კურდღელიას სახით,

გამოხატავენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ქ. ფოთის განვითარების და მის წინაშე მდგარი გამოწვევების გადაწყვეტაში - აკადემიის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენებით.

ითვალისწინებენ რა სანავსადგურო ქალაქის მნიშვნელობას სახელმწიფოს ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო პოტენციალის ამაღლების და განვითარების საქმეში, ასევე ქართველი მეცნიერების და სპეციალისტების მზადყოფნას მიიღონ მონაწილეობა საზღვაო ქალაქის პერსპექტიული განვითარების პროგრამაში,

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. აკადემია:

1.1. გამოთქვამს სურვილს და თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქ. ფოთში არსებული ეკონომიკური, ეკოლოგიური, საზღვაო, საგანმანათლებლო და სხვ. პრობლემების გადაწყვეტაში.

აკადემია ასევე მიიჩნევს, რომ მისი სამეცნიერო პოტენციალი გამოყენებულ იქნას ქ. ფოთში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტების ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში, აგრეთვე, მეცნიერულად დასაბუთებული რჩევების მიწოდებაში.

2. მერია:

2.1 გამოხატავს დაინტერესებას შედგეს თანამშრომლობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან;

წარუდგენს აკადემიას განსახილველად ქ. ფოთის წინაშე მდგარი ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, საზღვაო, საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემათა ნუსხას, მათი გადაწყვეტის გზებს; ამასთან დროულად უზრუნველყოფს სათანადო მონაცემთა და საქმიანი ინფორმაციის მიწოდებას ნორმატიული მოთხოვნებისა და ტექნიკური პირობების შესახებ; სახელშეკრულებო საფუძველზე შექმნის და განახორციელებს თანამშრომლობის ურთიერთსასარგებლო რეალურ პირობებს.

2.2. ქ. ფოთში მნიშვნელოვანი საპროექტო პერსპექტიული წინადადებების განხილვისას გამოყენებულ იქნეს პრაქტიკა - აკადემიისა და მერიის გადაწყვეტილებით კონკრეტული პროექტიდან გამომდინარე მეცნიერთა და სპეციალისტთა დროებითი ერთობლივი კომისიის შექმნის თაობაზე, რომლებიც შეიმუშავებენ და წარმოადგენენ თითოეული პროექტის

შესაბამისად ექსპერტულ დასკვნებს და რეკომენდაციებს. აკადემიისა და მერიის თანამშრომლობის კოორდინაცია წარმართოს ერთობლივად მეცნიერთა, სპეციალისტთა, მერიის სამსახურებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა მოწვევით (ჩართვით), რათა, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მექცეს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს.

3. გარდამავალი დებულებები

- 3.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
- 3.2. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.
- 3.3. ცვლილებების, დამატებების შეტანა მემორანდუმში შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომლებიც იქნება ამ მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი.
- 3.4. ეს მემორანდუმი არ წარმოადგენს სავალდებულო შესასრულებელ დოკუმენტს და მასში აღნიშნული საკითხების განხორციელება დამოკიდებულია მხარეთა სურვილსა და კომპეტენციაზე.
- 3.5. ამ მემორანდუმთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.
- 3.6. ამ მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა მიერ ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი ინიციატივის განმხორციელებელმა მხარემ წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს მეორე მხარეს წინადადება ამ მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ - მემორანდუმის შეწყვეტამდე ორი თვით ადრე.

4. აკადემიისა და მერიის ერთობლივი კომისია

4.1. აკადემიასა და მერიას შორის ამ მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტურად რეალიზაციისა და კოორდინაციის მიზნით შეიქმნას კომისია პუნქტი 2.2.-ის შესაბამისად.

აკადემიის პრეზიდენტი

.....


გიორგი კვესიტაძე

სსიპ საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

საქართველო, თბილისი
რუსთაველის გამზ. # 52

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

.....


გოჩა კურდღელია

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

საქართველო, ფოთი,
დავით აღმაშენებლის ქუჩა # 12